

მერგოსისტემისათვის ციფრული რეგულატორები

კონსტანტინე კამპაშიძე, თამარ გაბაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია ელექტრულ ქსელებს შორის დატვირთვის განაწილების სქემა, რომელიც შედგება ორი დამოუკიდებელი კონტურისაგან. სარეგულირო პარამეტრი წარმოდგენილია ქსელის მოცემული სიხშირის გადახრისა და გადაცემული სიმძლავრის გადახრის სახით. ზემოქმედება ხორციელდება იმ ქსელის აგრეგატებზე, რომელიც მოხდება დატვირთვის ცვლილება. თითოეულ ენერგოსისტემაში ნაჩვენებია ციფრული რეგულატორების სტრუქტურული სქემა, სადაც მრავალი ანალოგური რეგულატორი უნდა იყოს ჩანაცვლებული მიკროპროცესორებით. უპირატესობა მინიჭებული აქვს მრავალკონტურიან მიკროპროცესორულ მართვას. თითოეულ კონტურში გათვალისწინებულია ოცდარვა აღვორითმი. გამოსასვლელზე დაყენებულ უნდა იქნას სპეციალური ციფრო-ანალოგური გარდამქნელი.


საკვანძო სიტყვები: ტურბინ-გენერატორი. პნევმატური ერთკონტურიანი რეგულატორები. პროგრამირებადი მიკროკონტროლერები. მიკროპროცესორი. აღვორითმი. კრისტალი. რეგისტრი.

1. შესავალი

ენერგოსისტემისათვის ციფრულ რეგულატორის წარმოადგენს ციფრული პირების რეგულატორი. ამ რეგულატორში გამომუშავდება ინტეგრალური და პროპორციონალური მდგრელები ციფრულ ფორმაში, რომლებიც შემდეგ გარდაიქმნებიან ანალოგურ ფორმაში. ციფრული რეგულატორი განკუთვნილია ცალკეულ ქსელებში დატვირთვების განაწილებისათვის, რომლებიც შედიან ერთიან ენერგოსისტემაში. რეგულატორის მუშაობის სიზუსტე შეადგენს 0.002%.

2. ძირითადი ნაწილი

ორ ელექტრულ ქსელს შორის დატვირთვების განაწილების რეგულირების სისტემის სტუქტურული სქემა მოცემულია 1-ელ ნახატზე.



ნახ.1. ორ ქსელს შორის დატვირთვის განაწილების
რეგულირების სისტემა

პირობითად თითოეული ქსელი წარმოდგენილია რამოდენიმე ტურბინ-გენერატორის და ენერგიის ექვივალენტური მომხმარებლის სახით. პირველ ქსელს მიეკუთვნება ტურბინ-გენერატორები გ11, გ21 და გ31, ელექტორენერგიის მომხმარებელი პ1 და ციფრული რეგულატორი ცრ1. მეორე ქსელს მიეკუთვნება ტურბინ-გენერატორები, გ12, გ22, ელექტორენერგიის მომხმარებელი პ2 და ციფრული რეგულატორი ცრ2. ამ ქსელების გამართიანებელ ხაზზე მოცემულია მოწყობილობა ს_q, რომელიც ზომავს ერთი ქსელიდან მეორეში გადაცემულ სიმძლავრეს. 1-ელ ნახაზზე მოცემულია რეგულირების სისტემა, რომელიც შედგება რეგულირების ორი დამოუკიდებელი კონტურისაგან. ეს კონტურები მიეკუთვნება ორივე ქსელს. თითოეულ მათგანში რეგულირებადი სიდიდე – რთული პარამეტრი X, რომელიც შედგება ქსელის მოცემული სიხშირის x_f გადახრის სიდიდისა და გადაცემული სიმძლავრის x_p გადახრისაგან, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი ფორმულით:


$$\mathbf{X} = \mathbf{x}_p + K_{pf} \mathbf{x}_f \quad (1)$$

სადაც K_{pf} – მოცემული პროპორციულობის კოეფიციენტია. მთელი ენერგო სისტემის დინამიკიდან გამომდინარე ეს რთული ელემენტი მუდმივად უნდა იყოს ნულთან მიახლოებული. ეს ხორციელდება ციფრული რეგულატორის დახმარებით. ცრ1 და ცრ2 ციფრული რეგულატორების შესასვლელებზე მიეწოდება f_φ სიხშირე და გადასაცემი P სიმძლავრე. ამ სიდიდეებისა და რეგულატორებში მოცემული სიხშირისა და სიმძლავრის სიდიდეებით განისაზღვრება x_p და x_f გადახრების მნიშვნელობები. x_p და x_f ნიშნების შედარებისას დგინდება იმ ქსელიდან, რომელში მოხდა დატვირთვის ცვლილება. ქსელში გამოყენებულ ციფრულ რეგულატორში, დატვირთვის ცვლილებისას, გამომუშავდება შესაბამისი სიგნალი (რეგულირებადი ზემოქმედება). რეგულირებადი ზემოქმედება დაერთვის იმ ქსელის ტურბინ-გენერატორებს, რომელშიც მოხდა დატვირთვის ცვლილება. თითოეულ ელექტოროსადგურში შეიძლება იყოს გამოყენებული ციფრული რეგულირებისათვის ტექნოლოგიურად პროგრამირებადი მიკროკონტროლერები.

ტექნოლოგიური პროცესების რეგულირების სისტემებში გამოყენებული 10-50 ჩვეულებრივი ანალოგური რეგულატორები, შეიძლება შეიცვალოს თავისი ფუნქციონალური და ალგორითმული შესაძლებლობების მქონე მიკროკონტროლერებით. თანამედროვე მართვის სისტემებში, იერარქიის ქვედა დონებზე ტექნოლოგიების მართვისათვის გამოიყენება ანალოგური ელექტრული ან პნევმატური ერთკონტურიანი რეგულატორები. ასეთი რეგულატორების მწყობრიდან გამოსვლისას, როგორც წესი წყდება მუშაობა მართვის მხლობ ერთ კონტურში, რასაც მწყობრიდან არ გამოყავს მთელი სისტემა და ის განაგრძოს მუშაობას. ამიტომ მართვის სამედობის უზრუნველყოფისათვის შეიძლება იყოს, გამოყენებული ერთკონტურიანი მართვის პროცესი (ნახ.2).

მაგრამ ამჟამად ერთკონტურიანი მიკროპროცესორული მართვის მაგიერ თრგანიზებულია მრავალკონტურიანი მიკროპროცესორული მართვა, რომლის დროსაც ერთი კონტროლერი მართავს რამდენიმე კონტურს და მიკროკონტროლერის დირექტულება ნაწილდება რამდენიმე კონტურზე. თუმცა, რომ არ შემცირდეს მართვის სამედობა, აუცილებელია გავითვალისწინოთ სარეზერვო მიკროკონტროლერი ან გადასვლა ხელით მართვაზე.

თითოეული კონტროლერი მართავს ტექნოლოგიური პროცესის რვა კონტურს (როდესაც, სულ 32 მართვადი პარამეტრია). რეგულატორის ნებისმიერი 8 პარამეტრის დაყენების ცვლილებისას სრულდება კონტურების ლოკალური მართვა და ერთდროულად მყარდება კავშირი მართვის ცენტროთან.



ნაკ.2. მიკროპროცესორული მართვის სისტემის სტრუქტურული სქემა

მპ -ეს პროგრამაში (კონროლერის 120 კბ) ჩადებულია კონტრულების რეგულირების 28 ალგორითმი, რომელიც სხვადასხვა კომბინაციებში მართვის რთულ სქემებს ქმნიან. კონტრულების მართვის საჭირო ალგორითმის შერჩევა ხდება მომუშავე ოპერატორის მიერ, მონაცემების შეტანის პულტზე არსებული ღილაკების საშუალებით. რეგულირების წესი შეიძლება შეიცვალოს კონტორლერების მუშაობის დროს. რვა კონტრულის ავტომატური მართვის დაკარგვა არ იწვევს პროცესის შეჩერებას, მაგრამ შრომატევადა მომსახურე პერსონალისათვის.

ხელით მართვისას მუშაობის გასამარტივებლად და კლაპანებთან რვა გამოსასვლელიდან თითოეულისათვის ერთზე მეტი კონტურის ერთდროული მტყუნების შესაძლებლობის გამოსარიცხად გათვალისწინებულია მეხსიერების ცალკეული რეგისტრი და ციფრო-ანალოგური გარდამქმნელი. ამ მიზნით შემუშავებულია სპეციალური “ბის”, რომელიც კრისტალში შეიცავს 10 თანრიგა რეგისტრს, რომელიც ინახავს მართვის სიგნალის ციფრულ ექვივალენტს, ის მიეწოდება კლაპნს და ფართო-იმპულსურ ციფრო-ანალოგურ გარდამქმნელს, რომელიც გარდაქმნის რეგისტრში მყოფ მართვის სიგნალის ციფრულ მნიშველობას მუდმივი დენის ანალოგურ სიგნალში 4-20 მა.

3. დასკვნა

მიკროპროცესორული მართვის სისტემები ამჟამად ინერგება ტექნოლოგიური პროცესების მართვის სექტორში. ერთ მიკროპროცესორს აქვს საშუალება შეცვალოს რამოდენიმე ანალოგური რეგულატორი. კერძოდ, ენერგოსისტემებში მიკროპროცესორული მართვა გამოიყენება სისტემის და სიმძლავრის რეგულირების სისტემებში. სტატიაში აღწერილია ორ ელექტროულ ქსელს შორის დატვირთვის განაწილების პრინციპი. გამოიყენებული ციფრული რეგულატორის როლში შეიძლება ჩართულ იყოს მიკროპროცესორები. აგრეთვე ნაჩვენებია თითოეულ ელექტროსადგურში პროგრამირებული მიკროპროცესორების გამოიყენების სქემა.

ლიტერატურა

1. Круг Е.К. Александриди Т.М. Дилигенский С.Н. Цифровые Регуляторы. Москва. Ленинград. 1966
2. Прангисвили И.В. Микро-Процессоры и Микро Эvm Москва. Энергия. 1979

DIGITAL CONTROLLERS FOR POWER SYSTEM

Kamkamidze Konstantin, Gabashvili Tamar
Georgian Technical University

Summary

Article focuses on the application of digital controllers in power systems. The diagram of distribution of capacities between power stations is shown, which consists of two independent circuits. Process of regulation is provided as a deviation of the given frequency and the transferred capacity. Exposure is carried out on aggregates of that system where capacity change. For each power supply system is shown the block diagram where many analog regulators should be replaced by microprocessors. The advantage is given to multi-circuit control. Each circuit provides twenty-eight algorithms. A special digital-analog converter should be established on the outlet.

ЦИФРОВЫЕ РЕГУЛЯТОРЫ ДЛЯ ЭНЕРГОСИСТЕМЫ

Камкамидзе К., Габашвили Т.
Грузинский Технический Университет

Резюме

Статья посвящена вопросу применения цифровых регуляторов в энергосистемах. Показана схема распределения мощностей между электростанциями, которая состоит из двух независимых контуров. Процесс регулирования представлен как отклонение заданной частоты и передаваемой мощности. Воздействие осуществляется на агрегаты той системы, где произошло изменение мощности. Для каждой энергосистемы показана структурная схема, где многие аналоговые регуляторы должны быть заменены микропроцессорами. Преимущество дано многоконтурному управлению. В каждом контуре предусмотрено двадцать восемь алгоритмов. На выходе должен быть установлен специальный цифроаналоговый преобразователь.